№ 147 მკათათვე 14, პარასკევი 1889 მკათათვე 14, პარასკევი № 147

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889

ტფილისი, 13 მკათათვე

ბოჰემიაში, რომელიც ავსტრიას ეკუთვნის, ამას წინად სასეიმო არჩევნები იყო, ამ არჩევნებზე გაიმარჯვა ეგრედ წოდებულმა მლადო-ჩეხების დასმა და სეიმებში წინანდელზე მომეტებული მლადო-ჩეხი აირჩიეს. ეს დასი იმითი არის შესანიშნავი, რომ მოწადინებულია თავისს ერს, რომელიც სლავიანთა ტომისაა, მეტი უფლება და თავისუფლება მიანიჭოს და ამ საგნისათვის ბეჯითად მოქმედობს; ამასთანავე ერთგული ქვეშევრდომია სამეფო ტახტისა და სცდილობს თავისი ერი ავსტრიის ქვეშევრდომ უცხო ერთ გაუთანასწოროს და არავის არ დააჩაგვრინოს. როგორც ერთს გაზეთში იყო გამოცხადებული, ავსტრიის იმპერატორს ფრანც-იოსებს არ იამა მლადო-ჩეხების გამარჯვება და საქვეყნოდ გაჰკიცხა ბოჰემიელები იმათის არჩევისათვის.

მლადო-ჩეხების დასი ძალიან ააშფოთა ამ ამბავმა იმიტომ, რომ თავისი თავი საკუთარის ერისა და მთელის სახელმწიფოს ერთგულად მიაჩნია, და აგრეთვე იმიტომ, რომ იმპერატორის სიტყვას შეუძლიან ძალა დაატანოს ერის უფლებასა და სურვილს. ამიტომ მლადო-ჩეხებმა ერთ-ხმად დაადგინეს სთხოვონ მთავარ-მართებელს კრაუსს, რომ წარსდგეს იმპერატორის წინაშე, შეატყობინოს იმათი ერთგულება და სთხოვოს მართებლობას გამოაცხადოს, ნამდვილია თუ არა ის ამბავი, ვითომ იმპერატორმა გაჰკიცხა ჩეხელები იმათის არჩევისათვის და ეს არჩევანი არ მოიწონა. კრაუსიც დასთანხმდა იმათ თხოვნაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით მთავრობა არაფერს აცხადებს და ამიტომ მლადო-ჩეხების უკმაყოფილებას საბუთი ეძლევა.

რამდენადაც მლადო-ჩეხებს არ ესიამოვნათ ის ხმა, რომელიც მწერლობამ გაავრცელა, იმდენადვე არც ავსტრიის მართებლობას იამება მლადო-ჩეხების საქციელი, ასე თუ ისე მართებლობამ ანგარიში უნდა გაუწიოს მლადო-ჩეხებს და უნდა დააკმაყოფილოს იმათი სათხოვარი. თუ დამტკიცდა, რომ იმპერატორმა მართლა არ მოიწონა იმათი არჩევა და თავისი საყვედური საქვეყნოდ წარმოსთქვა, მაშინ მლადო-ჩეხები კიდევ უფრო გულ-ნატკენნი იქმნებიან და მართებლობას შეებრძოლებიან, რათა თავიანთი უფლება და სახელი დაიცვან...

რისთვის ათხოვა მლადო-ჩეხების დასმა ეგოდენი ყურადღება ამ ამბავს, რისთვის ჩაუდგა მართებლობას პირში და ეგოდენი ლაპარაკი ასტეხა? იმიტომ, რომ, თუ ხსენებული ამბავი მართალია, მართებლობა შეეხო ერისა და იმის წარმომადგენელთა ხელ-შეუხებელს უფლებას. ავსტრიის ერთ დამკვიდრებული აქვთ სხვა-და-სხვა უფლება, რომლის ძალით, სხვათა შორის, არჩევანიც სრულიად თავისუფალი და ხელ-შეუხებელი უნდა იყოს. იმ გვარს სახელმწიფოში, როგორიც ავსტრიაა, მართებლობასაც არა აქვს უფლება ერის არჩევანს ძალა დაატანოს. მლადო-ჩეხების აზრით-კი, ფრანც-იოსები თავისის საქციელით შეეხო წმიდათა-წმიდას ჩეხის ერისას.

თუ მლადო-ჩეხების ეჭვი მართალი გამოდგა, უეჭველია, დიდი განსაცდელი შეემთხვევა მართებლობას, რადგანაც რაც მლადო-ჩეხებს ეწყინათ, ის მთელს ერს ატკენს გულს, და ეს ხომ ავსტრიას ხელს არ მისცემს მეტადრე დღეს, როცა საპოლიტიკო მდგომარეობა ავსტრიისა და სხვებისაც მეტად ძნელი და საეჭვოა. სადაც არის, ავსტრიის მართებლობამ ასე თუ ისე პასუხი უნდა გასცეს მლადო-ჩეხებს და მთელს ჩეხიასაც, რადგანაც უამისობა ყოვლად შეუძლებელია.

გ. ი.

ახალი ამბავი

*** ჩვენ მეტად ნაკლებადა გვაქვს შეგროვილი ძველის მწერლების სურათები, აღარ დაგვრჩენია სურათი ბევრის შესანიშნავის კაცისა, რომელსაცკი დიდი ადგილი სჭერია ჩვენს წარსულს ცხოვრებაში. ამიტომაც ყოველ სურათს, რომლისამე სახელმწიფო კაცისა იქნება იგი, თუ მწერლისა, დიდად უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ვინახავდეთ. ამ გვარმა სურათებმა კარგი იქნება ერთს საიმედო ადგილს მოიყაროს თავი სადმე, რადგან კერძო სახლებში ადვილად შეიძლება მამების სათაყვანებელს შვილებმა ყური აღარ უგდონ და მიაგდონ სადმე. მაგალითებრ, აი ეხლაც კასპში უპოვნიათ სურათი ზურაბ წერეთლისა, იმერეთის მეფის სალთხუცესისა, ნესტორ წერეთლის მამისა. ეს სურათი თ. დიმიტრი ამილახვრისის არის თურმე. ამას გარდა ქართლის ერთს თავადიშვილთაგანს აღმოსჩენია ირაკლის მეორეს სურათი. ირაკლი თორმეტის წლისა ყოფილა, როცა ეს სურათი გადაუღიათ. სიონის ახლად დაარსებულს მუზეუმში ამ ჟამად ინახება სურათი მიტროპოლიტის რომანოზისა, რომელსაც საკმაო გავლენა ჰქონია მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოზედ და ამას გარდა მწერალიც ყოფილა. იმის ნაწერთაგან დარჩენილია სალვთის-მეტყველო თხზულება „წინწილი ღაღადებისა“. თელავის სასულიერო სასწავლებელში იპოვება თურმე სურათი გაიოზ მთავარ-ეპისკოპოსისა. ეს სურათი თელავის სემინარიისთვის შეუწირავთ სტავროპოლის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებს. ქიზიყში, ხელაშვილის სახლში, არის თურმე დიდი სურათი ვგონებთ იონა ხელაშვილისა, მეთვრამეტე საუკუნის მწერლისა. ვინ იცის, იქნება ბევრს სხვა ძველის-ძველ ოჯახშიაც იპოვება ამისთანა ფრიად საინტერესო სურათები, უყურადღებოდ დატოვებული იქნება. თვით პატრონებმაც არ იციან, ვისი სურათი აქვსთ შენახული. კარგი იქნებოდა, რომ ამისთანა სურათების პატრონებს თა-

ფელეტონი

ბატონ-ყმობა საქართველოში

რუსეთთან შეერთებამდის.

(ვუძღვნი პატივცემულს პროფესორს ი. ლ. ოქრომჭედლიშვილს)

I

ბატონ ყმობას საქართველოში ჰქონდა ბევრი საერთო მხარე ამ გვარსავე წყობილებასთან ევროპასა და რუსეთში. ფეოდალობასავით[1]) იგი არ არის საკუთრება გერმანელ და რომაელ ერებისა, არამედ იგია მსოფლიო ამბავი, რომლის კერძო განსხვავებანი დამოკიდებულნი არიან ერის ხასიათზედ და იმის ისტორიულს განვითარების სვე-ბედზედ. ჩვენს ყურადღებას მივაქცევთ როგორც ერთ ნაირს შედეგს, აგრეთვე განმასხვავებელ ელემენტებსაც, რომელიც ჩვენებურმა ბატონ-ყმობამ შეიხორცა, გამოიხატა ჩვენს მეფეთა კანონებში და განხორციელდა ცხოვრებაში.

ბატონ-ყმობა ყველგან და ყოველთვის იყო პირველად აშენებული მამულის მფლობელობის ნიადაგზედ. მას ედო სარჩულად ეკონომიური დამოკიდებულება მამულის პატრონთა და მის მკეთებელთა შორის, იგი აშენდა პირველად მატერიალურს უფლებაზედ და მხოლოდ შემდეგ ჩვეულებით მიღებული დედა-აზრნი განმტკიცებულ იქმნენ იურიდიულის სანქციით. ამ საფუძველზედ დაიბადნენ კოლონატი რომის იმპერიაში, ვასალიტეტი საშუალო საუკუნოებში და ბატონ-ყმობა რუსეთში. ჩვენშიაც ბატონ-ყმობას ჰქონდა იგივე დასაწყისი, დამყარებული მამულის მფლობელობაზედ.

თუ ახლო დავაკვირდებით ბატონ-ყმობას, მასში აღმოვაჩენთ, გარდა ამ ეკონომიურის საფუძვლისა, პოლიტიკურს მიზეზსაც, რომელიც გახდა აგრეთვე ბატონ-ყმობის შემოქმედ ძალად. ძველის დროებისაგან დარჩენილ ჩვეულების გამო ომში ძლეული მძლეველის მონად, ყმად გახდებოდა ხოლმე. გამარჯვებული ძლეულს უყურებდა, როგორც უსულო ნივთს (res), ან პირუტყვს, და, მოკლებული ყოველს კაცობრიულს ღირსებას, იგი გათანასწორებული იყო ხართან და ცხენთან. ფრიზების კანონებში ვკითხულობთ დადგენებას, რომელიც თანასწორედ იხსენიებს პირუტყვსა და ყმას: „თუ ყმამ, ან ყმის ცოლმა, ან ცხენმა, ან ხარმა“... სასჯელი ერთ ნაირია ამათთვის.

ეს კაცის დამამცირებელი ჩვეულება, —ტყვის მონად წაყვანა[2]), —ჩვენში ამ საუკუნის დასაწყისამდე ძალიან იყო გავრცელებული, ძველს ბერძნებთან ჩვენი წინაპარნი სხვათა შორის ამ ცოცხალის საქონლითაც აღებ-მიცემობდნენ[3]). ბრძოლაში დარჩენილ დავლას და ტყვეს სახელმწიფო ჰყოფდა თავის და კერძო პატრონთა შორის. ასე გაიყვეს დორიელებმა ილოტები ძველს სპარტაში. პატრონი ნაბოძებ ტყვეს ჰხმარობდა სახლში და ჰხდიდა აღებ-მიცემობის საგნად, როცა იგი აღარ აძლევდა იმედს გამოსარჩომ სამსახურისას. კატონი, რომაელთა მწერალი, ურჩევს ბატონებს ამ გვარი გამოუსადეგარი მონა ჩქარა მოიშორონ თავიდამ. აქედამ წარმოსდგა მეორე სათავე მონობისა, სყიდვა-გასყიდვა ტყვედ აყვანილის კაცისა. ჩვენში ნასყიდი მონა უკეთესს მდგომარეობაში იყო, ვიდრე ტყვე: ტყვე, ამბობს ვახტანგ მეფე, „სყიდულზე უფრო ყმა არის“ (ვახტ. კანონები § 254), მაგრამ რა განსხვავება იყო მათ შორის, ამისი ცნობა არ მოიპოვება.

მესამე სათავეს ბატონ-ყმობისას წარმოადგინენ თავისუფლად შესულნი პატრონის მფარველობის ქვეშ: ესენი იყვნენ უცხო ტომთა ჩამომავალნი, ან სხვა მხრიდამ მოსულნი უმამულონი, როგორც რომაელთა კლიანტები, რომელნიც არსებობისათვის გაცხარებულს ბრძოლაში ეძებდნენ პატრონსა და მფარველს[4]). თუ ერთის მხრით პოლიტიკური ძლევა ატანდა ძალას უცხო კაცს შესულიყო ძლიერის კაცის მფარველობის ქვეშ, მეორეს მხრით ეკონომიური ხელ-მოკლეობა, უმამულობა ხდიდა იმას მიწის მფლობლის ყმად. აქედგან მიწათ-მფლობელი იყო ბატონიც და პატრონიც უთვის-ტომო, უმამულო, გადმოვარდნილის გლეხისა, რომელიც ბატონის მიწის შემმუშავებელისაგან ბოლოს ყმადაც გადიქცა. ერთის სიტყვით, ეკონომიურმა მდგომარეობამ გახადა თავისუფალი კაცი ყმად. აგრეთვე ტყვის ყმად გადაქცევაში ამ ეკონომიურს საფუძველს უპირატესობა ეძლევა პოლიტიკურს მიზეზთან შედარებით: ტყვე გახდა მონად და ყმად იმიტომ, რომ იმისი ძალ ღონე გამოსადეგი იყო პატრონისთვის მიწის შესამუშავებლად, სახლში მოსახმარისად, და არა უსარგებლო საგანს წარმოადგენთა აღებ მიცემობისთვის.

ჩვენ არა ვართ იმ აზრისა, რომ ყველა ისტორიული ამბავი და მოვლენა ავხსნათ ეკონომიურს ნიადაგზედ დაბადებულ მიზეზით, ჩვენ ვამბობთ, რომ ამ საბუთს დიდი ძალა ჰქონდა ბატონ-ყმობის სათავეში და განვითარებაში, ამასთანავე ვაღიარებთ, რომ იმისი გაძლიერება იყო შედეგი მთავრობის განკარგულებისა, ხელმწიფის სურვილისა: ბოძება მამულისა გლეხებითურთ ეკლესია-მონასტრებისათვის, ბატონ-პატრონებისათვის გახდა უაღრესს საგძლად ბატონ-ყმობის მსვლელობაში. შემდეგ პოლიტიკური და ეკონომიური გარემოებანი მხარდამხარ ჰმოქმედობდნენ ამ წეს-წყობილების გასამტკიცებლად.

II

ბატონების უძრავს ქონებას შეადგენდა, გარდა მამულისა (მამეული, დედეული, საგვარეულო მიწა-წყალი), მეფის ნაწყალობები, „ნაბოძები“. უკანასკნელი შეადგენდა არა სრულს საკუთრებას პატრონებისას, არამედ დროებით სასარგებლოს, ჯილდოს სამხედრო ანუ სამოქალაქო მოღვაწეობისთვის, მეფისა და ტახტის ერთგულებისათვის. მეფე გიორგი აძლევს (1584 წ.) თავისს ერთგულს ყმას ჯანდიერიშვილს დიდის ხნის და სასარგებლო სამსახურისთვის 29 კომლს გლეხს „ყოველის იმათის შეძლებით“[5]). მეფე ლუარსაბი აძლევს შალიკაშვილს სოფ. აბანოს იმ სამსახურისთვის, რომელიც შალიკაშვილმა გაუწია მეფეს ქვიშხეთში, როცა თითონ ხანს ემგებოდა[6]). მეფე თეიმურაზი აძლევს ბარათაშვილს ერთს ოჯახს გლეხისას ჯილდოდ ოტია ბექაშვილის დაჭერაში[7]).

მეფე აძლევდა მამულს მეფის შვილებს საუფლისწულოს (удѣлъ), თავად-აზნაურებს, მოქალაქეებს[8]) და ეკლესია-მონასტრებს სულის მოსახსენებლად. მეფე ერეკლე ურბნისის სობოროს სწირავს მამულს გლეხებით, რათა ყოველს წელიწადს ალაპი იმის სულისთვის გამმართონ (Церк. г., 1789 წ.)[9]). მეფის შვილები (ბატონიშვილები) თავისს მხრივ აძლევდნენ მამულს საუფლისწულოდამ (Двор. гр., გვ. 6, 23). ბატონებიც

---

[1]) Происхожденіе феодализма. П. Виноградовъ, გვ. 3. Родовое устройство Дагестана, М. Ковалевскій. „Юрид. В.“ 1888, XII, გვ. 524.

[2]) Курціусъ. Исторія Греціи I, 341—2; Brosset, Introduction, 82. Прор. Іезекіиль. Эзехійль. XVII, 13—14. Крест. гуд. 26; Церк. г., გვ. 153.

[3]) აღბუღას კანონები, § 91 (ქართულ ქრესტომატიაში დ. ჩუბინაშვილისა; რუსულს ენაზედ § 92).

[4]) Я прибылъ изъ Эрзерума, ამბობს გრიქოროვი, и такъ какъ не имѣлъ земли, то отдалъ себя въ крестьянство Мцхетскому Собору („Кавказъ“ 1864 г., № 84). გიორგიშვილი მიდის ყმად თუმანიშვილთან, რადგან ბატონი არა ჰყავდა სხვა მხრიდამ მოსულსო (Крестьян. грам., 59; იხ. კიდევ Церков. гуджари, გვ. 19, 153; Brosset, Introduct., 82.

[5]) Двор. гр., 3; იხ. კიდევ დ. აქტი 1586 წ., 1602 წ., 1622 წ., 1629 წ. („за преданность царскому дому“) სიგელი 1654 წ., 1656 წ. („заботились о престолѣ и царствѣ“), 1746 წ.

[6]) Двор. гр., გვ. 4., იხ. კიდევ iв. სიგელი 1633 წ., 1692 წ., 1693 წ. (გურამიშვილს), 1764 წ., 1798 წ.

[7]) Дв. гр., გვ. 6, 12; სიგელი 1733 წ., 1801 წ.

[8]) მეფე ლუარსაბი აძლევს ქალაქის ამირს სოფ. ქაშლაჩის (Дв. г., 1602 წ.). საუფლისწულო (Двор. гр., 23).

[9]) იხ. Цер. г., 1519 წ., 1477 წ., 1495 (გვ. 132), 1499 წ., 1618 წ.

ყისი სურათები «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის» გამოეგზავნათ, რომ უკეთ შენახულიყო და დაფარულიყო.

⁂ როგორც შევიტყეთ, იმავ თ. დიმიტრი ამილახვრისას არის თურმე კარგად მოზრდილი წიგნი „როსტომიანი“. თუმცა ეხლა გვაქვს „როსტომიანი“, მაგრამ სრული არ არის, ზოგს თავი აკლია, ზოგს ბოლო, და ამიტომ სასურველია ეს თ. ამილახვრიანთ ოჯახში ნაპოვნი წიგნიც გაისინჯოს; ვინ იცის, იქნება სრული აღმოჩნდეს. თ. ამილახვრისავე ოჯახში ინახება თურმე სამეგრელოს მთავრის წაბოძვი იმისი რუსული წიგნთსაცავი, ძველი კლასიკები, რუსულად ნათარგმნი.

⁂ ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ბ-ნი რატილი, ჩვენის ქართულის ხოროს ლოტბარი, პროვინციაში გაემგზავრა სხვა-და-სხვა ადგილს კონცერტების გასამართავად. რატილი ამ ჟამად თავისის ხოროთი და მომღერალ ქალებითურთ სოფ. კასპში იმყოფება თურმე. ამას წინად ხორო ახალქალაქში ყოფილა და კონცერტი გაუმართავს, რომელიც იქაურს საზოგადოებას ძალიან მოსწონებია. საზოგადოებას ბ-ნის რატილისთვის მიურთმევია „მადლობის ბარათი“, რომელზედაც ბევრს იქაურს უწერია თურმე ხელი. ამ ქალაქში ხოროს კარგი შემოსავალი ჰქონია. კასპში ბ-ნს რატილს ერთხელ უკვე გაუმართავს კონცერტი და ახლა მეორედ ჰმართავს თურმე.

⁂ „ევროპის“ ბალს არა ეშველარა, ამ ბალში ჩვეულებისამებრ ყოველ ზაფხულს კვირაში სამჯერ—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით იმართება მასკარადები. თუმცა ჯერ კიდევ წარსულს წელს ბევრსა დრტვინავდნენ გაზეთები, რომ უნდა აიკრძალოს როგორმე და ნება არ უნდა მიეცეთ მასკარადების მართვისა, ბ-ნი ბარბერონი, პატრონი ამ ბალისა, ყურსაც არ აპარტყუნებს და არხეინად განაგრძობს თავისს უწესოებას. სავალალო ის არის, რომ ამ მასკარადებში ჩვეულს ქალებს თავისი ნაცნობი ქალები დაჰყავთ ვითომ-და დროს გასატარებლად და გულის გადასაყოლებლად, მაგრამ ამ დროს გატარებას ბოლოს ის მოჰყვება ხოლმე, რომ ახლად მოსიარულე ყმაწვილი ქალიც, ღარიბის, მაგრამ ნამუსიანის ოჯახისა, ისეთივე შეიქმნება, როგორნიც სხვანი იქ მოსიარულენი არიან. ამისთანა მაგალითი არა ერთი ყოფილა და არა ორი. ჩვენი ადმინისტრაცია-კი თვალებ-დახუჭული შესცქერის ამ უზნეობის აღყვავებას და ბარბერონისთანა „ცივილიზაციის“ გამავრცელებლებს არაფერს ეუბნება.

⁂ კვირა დღეს კრწანისიდგან ცხენის რკინის გზით მოდიოდა მ—ნთ სახლობა. ვაგონში სხვათა შორის ორი თათარი იყო. ესენი დასცინოდნენ ახალგაზრდა ქალს მ—ს და ბოლოს ხელიც შეახეს. ქალის ძმამ რამდენჯერმე სთხოვა კონდუქტორს (№ 22), რომ ეს თათრები ჩამოესხა ვაგონიდგან, მაგრამ კონდუქტორმა ყურიც არ ათხოვა ამ თხოვნას. მოთმინებიდგან გამოსულმა მ—ნმა ჰკრა თათრებს ხელი და ორივე გადმოაგდო ვაგონიდგან. ერთი დაეცა გვერდზე, ხოლო მეორე-კი თავით და ფეხით ვაგონის საფეხურს ქვეშ მოჰყვა და სახე ძალიან დაუშავდა.

⁂ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, ბ-ნი გროსმანი.

⁂ ძლიერ სიცხეებს შემდეგ ტფილისში გუშინ ცოტა მაინც აგრილდა. 13-ს ამ თთვისას დილით დიდი წვიმა მოვიდა, ხოლო ეს წვიმა უცნაური რამ იყო: როდესაც ქალაქის შუაგულში, სოლოლაკში, ვერაზე და კუკიაში კოკი-პირული წვიმა მოდიოდა, ხარფუხში და ავლაბარში წვიმას არც-კი დაუსველებია რიგიანად მიწა. ავლაბარ წვიმა გოგილოს აბანოს არ გასცილებია. როგორც გვატყობინებენ, კრწანისში კარგი ჟუჟუნა წვიმა ყოფილა.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ მამა ნ. ნათიძეს, მღვდელს პირველის „ყარსისა, მოზდოკის“ ცხენოსანის ჯარისას, რომელიც ქ. ოლთისში სდგას, გამოუგონია ჯარის კაცთათვის სალაშქროდ სახმარებელი ლოგინი. ეს ლოგინი ძალიან მოსწონებია ყაზახის დივიზიის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტს ტუტოლმინს. ლოგინი ორის ყუთისაგან შესდგება. ერთი ყუთი დანიშნულია ტანისამოსისათვის და მეორეც ჭურჭლისა და სურსათისათვის. როცა ეს მეორე ყუთი იცლება, სტოლად გადაიქცევა ხოლმე. ყუთებზე, როცა ერთმანერთზე გადაიბმევიან, ლეიბი გადაიჭიმება თურმე. მამა ნათიძეს განზრახვა აქვს ამ ლოგინის მოდელი ტფილისს გამოგზავნოს გამოსაფენად.

⁂ ამავე მღვდელს უნახავს ერთს სოფელში, ოლთისის მაზრაში, ძველი ქართული ხელთ-ნაწერი სახარება, რომელიც ერთის სომხის ოჯახში ინახება. ეს სახარება, სხვათა შორის, იმითი არის შესანიშნავი, რომ მთელის გუმბრისა და ყარსის გუბერნიის სომხობა პატივსა სცემს. დიდ-ძალი ხალხი მიდის თურმე იმ სომხის ოჯახში, რათა სახარებას ემთხვიოს და თაყვანი სცეს. ამ სახარების მყიდველნიც აღმოჩენილან, დიდ-ძალი ფულიც შეუძლევიათ, მაგრამ პატრონი ვერ იმეტებს, ვითარცა საუნჯეს და მფარველს მთელის სოფლისას.

⁂ ბაქოს რკინის გზის სადგურ კარასუდგან გვატყობინებენ დეპეშით, რომ დღეს, 13-ს ამ თთვისას, იქ იმდენს კალიას გაუვლია, რომ რამდენსამე წამს მზეც დაუბნელებია; ამდენს კალიას არას დროს არ შევსწრებივართ და გლეხები პურის მომკას ეჩქარებიან. კალია გადმოდის სალიანის მხრიდგან.

⁂ **დ. ცხინვალი:** ამას წინად „ივერიაში“ სურამელ ვაჭრებსა და მეყასბეებს უჩიოდნენ და ჰკვირობდნენ იმათს უსინიდისობასა და თავ-გასულობას. მართლაც გასაკვირველი ყოფილა იმათი საქციელი, მაგრამ, ვგონებთ, ცხინვალის ვაჭრები და ყასბები ბევრით არაფრით ჩამოუვარდებიან სურამისას. სურამში ნიხრი მაინც ყოფილა შედგენილი და დამტკიცებული პოლიციის ბოქაულის მიერ, თუმცა იმისთანა ვაჭრებს ახაგრინებს მთელს დაბას. ცხინვალში არავითარი ნიხრი არ არის და ვაჭრები, რა ფასადაც უნდათ, ისე ჰყიდიან საქონელს. დღეს რომ ცხრა კაპიკად მოგყიდონ გირვანქა ხორცი, ხვალ ორ შაურსა და ან მეტს გადაგახდევინებენ. ფასს ჯანი გავარდეს, ხორცი რომ ხეირიანი იშოვებოდეს. ჩვენი ყასბები იმას არა სჯერდებიან, რომ ხალხსა ფრცქვნიან, არა, ავადმყოფის საქონლის ხორცსაც მოგვართმევენ ხოლმე. იშოვნიან სადმე სულთ მობრძავ, ჭირიანს ძროხას, იყიდიან მესამედ ფასად და იმას დაგვიკლენ. ცხვრებსაც თურქულით ავადმყოფებს და პეპლიანებსა ჰხოცავენ. ვგონებთ მეტი არ იქნება, ვისიც ჯერ არს, ყურადღება ათხოვონ ჩვენს გაჭირებასა და ვაჭრების თავ-გასულობას. ამ საქმეს რომ ცოტათი მაინც ფხიზლად მოეკიდებოდეს აქაური ექიმი, იქნება ცოტად თუ ბევრად აღაგმოს აქაური ვაჭრები.

⁂ **იქიდამვე:** ცხინვალელები დიდს ფაცა-ფუცში არიან მამასახლისის არჩევანის მოლოდინის გამო. მაზრის უფროსს დღე დღეზე მოელიან და მცხოვრებლებსაც რამდენიმე კანდიდატი ჰყავთ ათვალთვალებული. ძველს მამასახლისს ძლიერ ემდურიან და, ვგონებთ, წელს ხეირს ვერა ჰნახავს. დროა, ცხინვალელები ჩაუკვირდნენ თავიანთს მდგომარეობას და ხელში არ ჩაუგდონ თავი საეჭვო ვაჟკაცებს. კარგი იქნება აქაურმა საზოგადოებამ მიჰბაძოს მარტყოფისას, მამასახლისად აირჩიოს ნასწავლი კაცი, პატიოსნებითა და ბეჯითობით ცნობილი. ცხინვალს სრულიადაც არ გაუჭირდება ამისთანა მოხელეს ჯამაგირი დაუნიშნოს.

⁂ **სოფ. არბო:** ამას წინად აქედგან სწერდნენ „ივერიას“, რომ 2-ს ამ თთვისას ერთმა ყმაწვილმა უბედად მოჰკლა თოფით ბ-ნ ნ. ლომაურის მოსამსახურე ბიჭი. აი ეს უბე-

---

ასახლებდნენ გლეხებს ბოძებულს მამულზედ. უმაღლესს პატრონად ბოძებულის მამულისა ითვლებოდა ჯერ მეფე-ბატონი, მერე ბატონ-პატრონი და შემდეგ დროებითის სარგებლობის უფლება რჩებოდა მის შემმუშავებელს. „ნაბოძების“ გადაცემა დროებითს პატრონს არ შეეძლო: თუ საბატონო რამ იყოს, ამბობს მეფე ვახტანგი: ან ბატონს ებოძებინოს, იმას ვერ გასცემს, ბატონს უნდა ჰკითხოს, ბატონზედ ჰკიდია (ვახტ. კანონები, § 233; ალბულ. კანონები, § 76). როგორც ვასსალი თავის სიუზერენის დაუკითხავად ვერ განაგებდა მამულს, აგრეთვე ჩვენშიაც ამ გვარსავე წესს და ჩვეულებას მისდევდნენ, ვასსალს ჰქონდა dominium utile, სიუზერენს dominium directum.

როგორც დასავლეთს ევროპაში კონტრაგენტების—მამულის მფლობელის და იმის შემმუშავებელის,—გამოცვლით საჭირო იყო ხელ-წერილის განმეორება ინვესტიტურით და ჰომაჟით, აგრეთვე ჩვენშიაც ახალის მფლობელს მიეცემოდა განახლებული სიგელი და გუჯარი მამულის ხმარებისათვის[10]). განმეორების განსამტკიცებლად დროებითი მფლობელი აძლევდა ბატონს რაიმე სასყიდელს (გურიაში 500 მარჩილს) და წინად ბოძებული მამული უკან უბრუნდებოდა[11]). ყმა (ვასსალი) აძლევდა პირობას ერთგულის სამსახურისას[12]). მეფის უფლობა ბატონზედ და ამ უკანასკნელისა მამულის დროებითს მფლობელზედ იქიდამა სჩანს კიდევ, რომ „ამოვარდნილი“ (выморочное) მამული უბრუნდებოდა ან მეფეს, ან ბატონს, ან ეკკლესიას, ერთის სიტყვით, იმას, რომლისაგანაც მიღებული ჰქონდა მიწა-წყალი[13]). მეფე და ბატონი ამ ამოწყვეტილის მამულს არიგებდნენ სურვილისამებრ[14]). მაშასადამე, მეფე ბატონს, ბატონი მიწის შემმუშავებელთ უყურებდნენ, როგორც დროებით მფლობელებს. სიგელისა და გუჯარის განახლება, სასყიდლის მიცემა ხელ-წერილის განმეორებაში ცხადად ამტკიცებს ამ გვარს ხასიათს მიწის მფლობელობისას.

მამული (მამეული) უდრის რუსების «Вотчина»-ს, «ნაბოძები»—„пожалованное помѣстье“-ს. „ნაბოძები“ რუსეთშიაც და ჩვენშიაც ეძლეოდათ იმ პირობით, რომ სამხედრო და სამოქალაქო მოვალეობა[15]), საზღვრების გამაგრება მიელოთ თავის თავზედ ამ «ნაბოძებით» გაბედნიერებულებს. რასაკვირველია, „ნაბოძები“ ამ შემთხვევაში გადადიოდა შთამომავლობაზედ მხოლოდ მაშინ, როცა მამრობითი მემკვიდრე რჩებოდა. დედაკაცს არ შეეძლო შეესრულებინა ის უპირატესი მოვალეობა, რომელიც დაკავშირებულია ლაშქარ-ომიანობასთან. ამიტომაც პირველად რუსეთშიაც და ჩვენშიაც მდედრობითი სქესი მოკლებული იყო უფლებას დამკვიდრებულიყო «ნაბოძებს» მამულში. ვახტანგ მეფე ბრძანებს დედაკაცს „მამულთან“ ხელი არა აქვს, ბატონისა არის... თუ შვილი[16]) ჰყავს. მამულს ვერავინ წაართმევს, შვილისა არის[17]). პოლიტიკურმა გარემოებამ, ეკონომიურმა მოთხოვნილებამ, კაცობრიულმა გრძნობამ ამ ჩვეულებას მოუღო ბოლო, მამეული და ნაბოძები, вотчина და помѣстьѣ[18]), გაერთდა და ორივე გახდა ბატონის საშვილიშვილო, სამკვიდრო ქონებად. ნაბოძების და მამულის გაცემის უფლება თანასწორად მიეცა ბატონს[19]). იგი გახდა „ნაბოძების“ პატრონისაგან მამულის ბატონად.

მამულზედ, ნაბოძებზედ დასახლებული იყო ნასყიდი, ანუ ვალ-გადუხდელად დარჩენილი გლეხი, სახასო, ანუ ნაბოძები გლეხი და ყმა. სხვის მამულზედ მოსახლკარე გლეხები განიყოფებოდნენ სამ სახედ, ანუ კლასად: სახელმწიფო ანუ სახასო, საბატონო ანუ საპატრონო, საეკკლესიო ანუ სამონასტრო. გლეხებში განირჩეოდნენ მსახური, ნასყიდი, ნაბოძები, ვალ-გადუხდელი, თავის ნებით შესული და რთული ტიპი ყმა. ვახუშტი მსახურს არჩევს გლეხთაგან, მაგრამ ამ უკანასკნელთა შორის იგი ვერ ჰპოულობს განსხვავებულს ეკონომიურს ყოფას. „ხოლო სოფლიერნი, ამბობს ვახუშტი: 1) ერისთავნი; 2) მთავარნი; 3) აზნაურნი; 4) ვაჭარნი; 5) მსახურნი და 6) მუშაკნი გლეხნი“. („ისტორია“, გვ. მე-4).

III

მსახური (serviteur) იყო დაახლოებული პირი ბატონისა (княжій слуга Русской Правды). მსახურთ-უხუცესი იყო მესამე ხარისხის ხელის უფალი[20]). მათ ჰქონდათ დიდი მნიშვნელობა, როგორც ministerialს გერმანელ ერთა შორის. მსახური იდგა გლეხსა და აზნაურს შორის, მისი სისხლი ღირდა 1200 თეთრი[21]), თუ იგი მისსა პატრონსა აზნაურის შვილად ჰყვეს[22]). ვახტანგის კანონით მისი სისხლი ორჯელ მეტად ღირდა, ვიდრე გლეხისა: პირველის სისხლი ღირდა 240 მან., მეორესი 120 მან[23]). ესე იგი მსახურის სისხლი ღირდა იმდენადვე, რამდენადაც მთავარ-დიაკონისა და მესამე ვაჭრის სისხლი[24]). მსახური ხშირად გადადიოდა აზნაურთა წოდებაში[25]). ფულის მაგივრად ძველად გლეხის სისხლში აძლევდნენ ძროხებს. „გლეხის კაცის სისხლში ძროხა იყო გაჩენილი, რომე ერთის გლეხის სიკვდილისათვის სამოცი ძროხა იყო გაჩენილი“. ესე იგი თითო ზროხა ორი მანეთის ფასად იყო დადებული. შემდეგ სისხლის ფასმა იმატა. მეფე ერეკლეს დადგენილებით (1786 წ.) თუშის, ანწუხის და ქართლელის სისხლი 30 თუმნამდე ავიდა, რათა მოესპო კაცის კვლა და ავაზაკობა.

ნასყიდი (полный холопъ). ვალის გადასახდელად, ანუ სხვა გაჭირების გამო გლეხი გაიყიდდა თავის თავს და ამით აძლევდა ბატონს უფლებას მოეხმარა იგი, როგორც ნასყიდი ყმა. „ანუ სყიდნენ თავის ცოლშვილს, უფროსს ვაჟიშვილს“ სახლობით[26]). იგი გაიყიდდა თავს სრულის თავის ჩამომავლობით, საუკუნოდ, სამკვიდროდ (кр. гр., 7). თავის გასყიდვაში იგი პირობას სდებდა და სიგელით მტკიცდებოდა მისი თავისუფალი მოქმედება, რომ იგი ხელს იღებს თავისუფლებაზედ და ხდება ბატონის ყმად („на вѣчныя времена“). ასე იყო რუსეთშიაც, სადაც თავის გამსყიდველი გლეხი აძლევდა პირობას „работать на землевладѣльца безъисходно, вѣчно“. მე-XVII საუკ. ხელ-წერილით მონად აძლევდა ბატონს მთელს ჩამომავალს შტოს[27]). მე-XVII საუკუნემდე არა გვაქვს ცნობა, რომ საქართველოში ყმად თავის გასყიდვა ყოფილიყოს გა-

---

[10]) Цер. гудж., 12, 96, 97, 125, 126; Двор. гр., გვ. 22., Акты Кавказ. Арх. Ком. т. I, გვ. 2, 8, 15.

[11]) Археолог. путешествіе по Гуріи и Адчарѣ, Бакрадзе, გვ. 297, 302.

[12]) Двор. гр., გვ. 17, 19, 22, 43. Церк. гудж., 11, 29. Археолог. пут. 299, 305, 318.

[13]) l. cit. „Выморочныя имѣнія переходятъ къ помѣщику, который распоряжается по своему усмотрѣнію“, Двор. гр., 23.

[14]) ნახე Бакрадзе. Археол. путеш., 305.

[15]) ასე იყო ევროპაშიაც და რუსეთშიაც. Roth. Beneficial wesen Feudilitat, 333.

[16]) ვახტ. კანონები, § 231; ვახუშტის ისტორია, გვ. 5.

[17]) პეტრე დიდის კანონით 1714 წ. (о единовластіи) „вотчина“ და „помѣстье“ გაერთდნენ.

[18]) წინად-კი მეფის ანუ ბატონის დაუკითხავად ვერ მოიხმარებდა. Дв. гр., 31.

[19]) შვილი, ესე იგი ვაჟიშვილი. ამას შეეძლო მამის მოვალეობა აესრულებინა და მამულიც ამას რჩებოდა.

[20]) Wakhoucht, Géogr, 19.

[21]) ალბულას კან., § 8 და 10.

[22]) თეთრი—ერთი შაური. Brosset, hist. de la Géorgie, Introd. 81.

[23]) ვახტანგის კან., §§ 32 და 33. Brosset. Introd. p. 101.

[24]) ვახტანგის კანონები, § 32.

[25]) ვახტანგის კანონები, § 18.

[26]) Кресть. гр. გვ., 9, 15, 30. Brosset Introd., 82. გამსყიდველი იღებდა ფულს, რამდენზედაც გულს დააჯერებდა. Кр. гр., 73.

[27]) Запись 1687 г. „жить мнѣ за господиномъ съ женою и дѣтьми, а по мнѣ и внучатамъ моимъ“. В. Ключевскій. „Рус. М.“ 1886, 1887 г. Крѣп. право.

დურება როგორ მოჰხდა: ერთს გორის საქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ხელში ორ-ლულიანი თოფი ეჭირა და ჩახმახზე აყენებდა. თოფი თურმე საფანტით იყო გატენილი. იმის ახლო-მახლო, კალოზე ის უბედური მოსამსახურე მჯდარა. ამასობაში ამ მოწაფეს თოფი გავარდნია და საფანტს ბიჭისათვის თავის ქალა გადაუხსნია. ბიჭს იქავე საზარლად შეუყვირნია და ამ უბედურების მნახველს მოწაფეს გული შესწუხებია. ექიმი იმ წამსვე გადმოიყვანეს ცხინვალიდგან, მაგრამ გვიან-ღა იყო. ექიმის მოსვლამდე ბიჭმაც სული დალია. მკვლელი ავად გახდა, როგორც ეტყობა, ჭკუაზე შემცდარა.

⁂ პარიჟიდგან იუწყებიან დეპეშით, რომ აქაურს გამოფენაზე თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის შამპანური ღვინოები და თავ. გოლიცინისა (ყირიმში) საუკეთესო აღმოჩნდა და ამიტომ უმთავრესი პრემია იმათ დაენიშნათო.

⁂ გაზეთ „კავკაზს“ ატყობინებენ ყარსიდგან, რომ იქაურობას კალია მოსდებია. კალია იმდენი ყოფილა, რომ შუადღისას გადაფრენის დროს რამდენსამე წამს მზე დაუბნელებია.

⁂ 12-ს ამ თვისას სამსახურიდგან გადამდგარის ფელდფებელის ცოლმა დარია სიზანენკომ თავის მოკვლა დააპირა და ამიტომ საწამლავი დალია. დარია სიზანენკო სამკურნალოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

⁂ იმავე დღეს, მეათე განყოფილებაში, ინჟენერ-პორუჩიკის რომანოვის ქვრივის სადგომიდგან მოსამსახურემ ბესარიონ სიხარულიძემ, შორაპნის მაზრის მცხოვრებმა, მოიპარა სხვა-და-სხვა ოქროსა და ვერცხლის ნივთი, სულ 250 მანეთისა. სიხარულიძეს ყუთი გაუტეხნია და ქურდობა ისე ჩაუდენია. დამნაშავეს დაეძებენ. გამოძიება სწარმოებს.

⁂ იმავე დღეს, მეორე განყოფილებაში, ღამის 11 საათზე, გრიბოედოვის ქუჩაზე, აბამელიქოვის სახლის მახლობლად, უპოვნიათ დედათა სქესის მიგდებული ბავშვი სამიოდე კვირისა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაუგზავნიათ.

◆◆

სიყვარული და ქორწინება ამერიკაში

(წერილები დე-ვარინიისა *)

ყოველთვის-კი ასე ადვილად არ გადარჩება ხოლმე ბრალდებული. მაგალითებრ, სენატორს ჯონ-პეტერსონს შემდეგი სამწუხარო ამბავი დაემართა: ერთმა ქვრივმა ქალმა, მისტრის მერი ფილიმონგმა, უჩივლა ამ კაცს, რომ ქორწინებაზედ უარი მითხრაო, და ამტკიცებდა: 1885 წლის 9 ნოემბერს დამპირდა შერთვასაო. 1886 წლის თიბათვემდე ხშირად მწერდა გრძნობით სავსე წერილებს, მპირდებოდა ცოლად შერთვას და მეხვეწებოდა, რომ დათანხმდი, ცოლად გამომყე და ქორწილის დღეც დამინიშნეო. რამდენჯერმე დავუნიშნე დღეც, მაგრამ ყოველთვის სხვა-და-სხვა საბაბს მოიგონებდა ხოლმე და გადამიდებინებდა. 1886 წელს შეუსრულებელმა სენატორმა ცოლობა სთხოვა მისს ჯენი ბაროუს, მაგრამ რა-კი აქ უარი უთხრეს, მისს ამილფრედ ფრანკს მიჰმართა და შეირთო კიდეც 1887 წლის 2 ნოემბერსაო.

მომჩივანი ჰფიცულობდა, რომ ამ ორის წლის განმავლობაში ყოველთვის მზად ვიყავი ცოლად გავყოლოდი ჯონ პეტერსონს და რამდენჯერმე დავუნიშნე კიდეც საქორწინოდ დღე. დიდად დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ქორწინება შესდგებოდა, და ამიტომ უფრო ბევრი ფული დავხარჯე, ვიდრე შემძლება ნებას მაძლევდა: მკერავებს ათასი რამ შევუკვეთე ისეთი, რომელიც ეხლა ჩემთვის გამოსადეგი არ არის, რადგან ბ-ნმა პეტერსონმა იმედი გამიმტყუნაო. ამ ფულის დანაკლისს, რომელიც სენატორი მზად არის გადამიხადოს, უნდა დაემატოს ჩემი დამცირება და ნაცნობებში სასაცილოდ გახდომაო. ეს ქვრივი ყველა ამ დანაკლისს ათი ათას (100,000 მ.) თუმანს აფასებს და იმედია მიიღებს კიდეც, რადგან სენატორი იმდენად გაუფრთხილებლად მოქცეულა, წერილები უწერია ამ დედაკაცისათვის.

ყველა ამისთანა საჩივარი, რაღა თქმა უნდა, მალიან ჰგავს ერთმანეთს. უმთავრესს გეშად და დამამტკიცებელ საბუთად წერილები ითვლება; თუ წერილობრივი გეში არ არის, მაშინ მოწმეებზე მიდგება ხოლმე საქმე და ხშირად ამისთანა საქმეზედ ბევრი პატივცემული ოჯახის უფროსია გამოხმობილი სასამართლოში.

ამას გარდა საფრთხილონი არიან წარჩინებულ კაცთათვის ადგილის მთხოვნელნი ქალნიც და ყველა ვერ გადარჩება ისე იაფად ხიფათს, როგორც გადარჩა მისტერ ბლეკბერნი, კენტუკელი სენატორი, რომლის შემთხვევამაც დიდი ამბავი ასტეხა 1888 წელს მთელს ვაშინგტონში. რამდენსამე კვირას ამ კაცს უკან დასდევდა თურმე ერთი ქვრივი დედაკაცი და არავითარს დაბრკოლებას არ ერიდებოდა, რომ მისულიყო და ეთხოვნა რამე.

სენატის დერეფანში, კაპიტოლიის გამოსავალში, ქუჩაზედ და სახლშიაც-კი ყველგან დასდევდა ეს ქვრივი დედაკაცი და სენატორს ვერაფერსა ჰშველოდა ეშმაკობა და მალულობა. ამხანაგები დასცინოდნენ, სასამართლოში აგიტეხავს ეგ დედაკაცი ჩქარა საჩივარს და საქმეს ქისას დაგიმჩატებსო. ამაოდ არწმუნებდა იგი, რომ ადგილის სათხოვნელად დამდევს ეს დედაკაციო.

ერთხელ სენატორი თავისის სახლის საბანებლის აუზში იჯდა თურმე, ფარდებით მოფარებულში, და ამ დროს რაღაც ხმაურობა შეესმა. ბლეკბერნმა ფარდის ნახვევში შეიხედა და დაინახა თურმე ის ქვრივი დედაკაცი, რომელიც ადგილისთვის დასდევდა. ამ დედაკაცს როგორღაც მოეტყუებინა მოსამსახურეები და შეპარულიყო სენატორის საბანებელში.

— ღმერთო, შემიწყალე! რა გნებავთ ჩემგან?

— ადგილი. დაპირებული ხართ და ფეხსაც არ დავსძრავ, ვიდრე ადგილს არ მომცემთ,— უპასუხა ქვრივმა დედაკაცმა და სავარძელზედ ჩამოჯდა თურმე არხეინად.

— ბატონო ჩემო... ეხლა ვერაფერს ადგილს ვერ გიშოვით, აბა... ამ ტანისამოსში.

— ვერა, ვერ მომატყუებთ, არც სხვა ადგილას და სხვა ტანისამოსით მიშოვეთ რამე... არა, არ წავალ აქედგან.

რა უნდა ექნა სენატორს? გამოვარდნილიყო გარეთ, არაფერი გამოვიდოდა, რადგან ქვრივი დედაკაცი ყვირილს მოჰყვებოდა, მთელს სახლს თავზედ დაახვევდა და ტიტველას დაანახვებდა ქვეყანას. მაშინ ამ ქვრივის დედაკაცის შერთვა აუცილებელი იყო. ელოდნა? როდემდის, ქვრივმა დედაკაცმა წინდა-ჩხირები ამოიღო და არხეინად შეუდგა ქსოვას. ამას გარდა სცივოდა კიდეც და ჩქარა უნდოდა ტანისამოსი ჩაეცვა. საშინელს მდგომარეობაში იყო.

— გემორჩილებით, შესძახა ფარდის ნახვევში: თუ ღმერთი გწამთ, გამიშვით ტანისამოსი ჩავიცვა და სასტუმროში მომითმინეთ გეფიცებით, რომ გამოვალ და სათხოვარს აგისრულებთ.

ერთს საათს შემდეგ ბლეკბერნი ამ ქვრივის დედაკაცითურთ მიდიოდა მისტერ ლამართან, ფინანსთა სამინისტროს მდივანთან, და უშოვა კიდეც თვეში თორმეტ თუმნიანი ადგილი.

„სამ უელერიკო, ეტყოდა ხოლმე თავისს შვილს ბრძენი ტომ უელერი: სამ უელერო, უფრთხილდი ქვრივ დედაკაცებსაო“.

და ამისებურად ბევრნი ევროპიელნი მოგზაურნიც ურჩევენ ყველას, რომ ნუ მიენდობით ამერიკელს ქალს, ამ გონიერს, ანგარიშიანს და გამოცდილს ქალბატონსაო. შეერთებულს შტატებში, როგორც ყველგანაც, გამოცდილებას ადვილად ვერავინ შეიძენს, გამოცდილება აქ უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე სხვაგან, და ზოგიერთი შემთხვევა, პირველში სასიამოვნო, შემდეგ კაი ფული ჯდება. ერთი ამერიკელი მილიონების პატრონი ჩიკაგოდგან დეტროიტს მიდიოდა თურმე და რკინის გზის ვაგონში მშვენიერს ქალს შეჰხვდა, მარტონი იყვნენ, დაუახლოვდნენ ერთმანეთს და რამდენსამე საათს ტკბილს მუსაიფში იყვნენ. ეს სიამოვნება იმ ამერიკელს ჩაუჯდა, რადგან ქალმა ითხოვა — ან შემირთეო და ან ოთხი ათასი თუმანი მომეციო. ამ მილიონების პატრონმა შერთვას ისევ ფულის მიცემა არჩია და მისცა კიდეც.

---

*) იხ. „ივერია“ №№ 139, 140, 141, 143, 144, 145 და 146.

◆◆

წვრილი ამბები

ამერიკის გაზეთებმა სპარსეთის მბრძანებლის შაჰინ-შაჰის მოგზაურობასთან ერთად რამდენიმე ანეკდოტი დაჰბეჭდეს თურმე შაჰზედ. ამ ანეკდოტებით შეურაცხებულს სპარსეთის ელჩს, ვაშინგ-

---

ერცელებული ჩვეულებად. პირველი ყმა ბატონისა იყო ტყვედ აყვანილი კაცი, რომელიც ვახტანგის კანონით „სყიდულზედ უფრო ყმა არის“ (ვახტ. კანონები, § 254). რამდენად ძველია ჩვეულება ყმად თავის გასყიდვისა, არ ვიცით, ეს-კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ გიორგი მეფის კანონებმა სრულებით არ იციან ბატონ-ყმობა. ალბულამ მხოლოდ ომში იცის დარჩენილი ტყვე, მაგრამ იმის მდგომარეობაზედ არას გვაუწყებს. შესანიშნავია ერთი მუხლი[28]) ალბულას კანონებისა: „თუ გლეხისა სხვას წარმავალსა გასწიოს ანუ მოგვაროს შინა იგი გლეხი და მის ხელთა მისცეს იგი გლეხი, რომელსაცა, ნუცა გლეხი გლეხს მკვიდრად ირჩის მართებს, არცა სყიდვისა იგი ღირსა, ოდესცა მან ანუ ნასყიდმან კაცმან იშოვნოს, რაცა გამოელოს ანუ მკვიდრმან ბატონმან მიუშოროს, ალიოს და კაცი გაუშვას“. ამ მუხლის აზრის გაგება ფრიად ძნელია; ეს-კი, თუ არ ვცდები, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ნასყიდს გლეხს ალბულა დროებით ყმადა ჰხდის, იგია nexus, დროებითი მოვალე და უნდა განთავისუფლდეს, როცა ვალს გადაიხდის. ამ გვარი დამოკიდებულება რუსეთშიაც იყო ცნობილი (закладничество, закупъ).

ვფიქრობ, რომ ძველად ყმად თავის გასყიდვა არ იყო ხშირი ჩვეულება. თვით ვახტანგ მეფე არა ჰხმარობს „ნასყიდს“ გლეხს მე-204 მუხლამდე. შემდეგ ვხედავთ როგორც ნასყიდს, აგრეთვე „ნაქირავებელ“ კაცს, რომლის სისხლი ბატონს „არ ემართლება“, თუ იგი კაცი გაგზავნილი სალაშქროდ ან წყალზედ მოკვდეს[29]). სიგელებიც გლეხის მიერ თავის თავის გასყიდვისა ეკუთვნის XVII საუკ.

არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ აქ გავლენა ბერძენთა კანონებისა[30]), რომელმაც, როგორც ვნახავთ, საშინელი ბეჭედი დაასვა მე-20 მუხლიდამ დაწყებული. როგორც ალბულას კანონები გვიჩვენებენ და სიგელები გვამტკიცებენ, პირველი საფუძველი ყმობისა, გარდა ტყვისა, რომელიც შეუცილებელი ყმა იყო ბატონისა, დასდო ვალის აღებმა, რომელიც ვალის გადახდის შემდეგ უნდა განთავისუფლებულიყო.

ნასყიდ - ნაბოძები თავისუფლად შესულისაგან ეტყობა განირჩეოდა, რადგანაც პირობაში, რომელსაც სდებენ ბატონი და ნასყიდი, ანუ თავისუფლად შესული, არ ივიწყებენ რა უფლება ეძლევა ბატონს, როგორ უნდა უყუროს თავის ყმას, როგორც ნასყიდს, ბოძებულს, თუ თავის ნებით შესულს. პატუნაშვილი აძლევს ხელწერილს თუმანიშვილს, რომ იგი უნდა ემსახუროს როგორც „ნასყიდი ყმა“ (въ качествѣ купленнаго крестьянина[31]).

ნაბოძები სეხნიაშვილი-კი აძლევს მალალაძეს სამს შვილს ყმად, ერთს „ნასყიდ ყმად“ და ორს-კი როგორც „წყალობის ყმად“ („пожалованные крестьяне“[32]). ნასყიდი, როგორც ტყვე, სრული საკუთრება იყო ბატონისა, იგი იყო პირველი შეუცილებელი ყმა პატრონისა. ნაბოძებს, წყალობის ყმას სახელმწიფო თითქოს მეტს ყურს უგდებდა, თავის მფარველობის ქვეშ ჰყვანდა

შემდეგ ვნახავთ, რომ წყალობის ყმა და ნასყიდი, თავის ნებით შესული ტყვე აირივნენ ერთმანეთში, ერთად შედუღებულთ დაჰბადეს ის ყმა, რომელსაც ვიცნობთ მე-XVIII საუკ. წინად სახელმწიფო აღევნებდა თვალს, გლეხი არ შეეწუხებინათ მეტის გადასახადით, რადგანაც სახელმწიფო ინტერესს აზიანებდა, თუ პირველად „ნაბოძები“ დროებით საკუთრები იყო პატრონისა და, მაშასადამე, საჭირო იყო სახელმწიფოს ზედამხედველობა, რომ არ გაალატაკონ ნაბოძები ყმანი. მე-XVIII საუკ. ბოლოს ეს კეთილი და უსაჭიროესი ყურის - გდება სახელმწიფომ ველარ შესძლო: ნასყიდი, ნაბოძები და თავის ნებით შესული გახდა ბატონის სრულ საკუთარ ყმად.

თავის ნებით ყმად შესული განირჩეოდა ნასყიდისაგან და ნაბოძებისგან იმითი, რომ იგი პირობით, ბატონთან დაჭერილით, დაიმედებული იყო, რომ ბატონი მოექცეოდა სამართლიანად და კანონიერად[33]). იგი უყმობდა მთელს თავის ჩამომავლობას, მხოლოდ აქაც პირობაში ბატონს ეუბნებოდა, რომ უნდა მოექცეს მათ ისე, როგორც თავის ნებით შესულს ყმას[34]). როგორც თავის გამსყიდავი გლეხი, ისე თავის ნებით ყმად შესულნი პირობას უდებდნენ ბატონს, აძლევდნენ ხელ-წერილს, „წიგნს“ თავიანთ ყმობისას. ხელ-წერილის (грамота) მიცემა შესანიშნავია მით, რომ ესეთი ჩვეულება გავრცელებული იყო როგორც კოლონებში, აგრეთვე რუსეთშიაც. თავისუფალი კაცი აძლევს ხელწერილს, რომ ეყმობა ეკკლესიას, ბატონს[35]). ამითი მტკიცდება იმათი უფლება იმის პირობაზე და ქონებაზედ.

ბატონი პატრონი და მფარველია იმისთვის უცხო ქვეყანაში. კაციაშვილი ირჩევს „პატრონად“ მუხრანსკის, რომელსაც „წიგნით“ ყმად ეძლევა, Кр. гр., 49. პირველ შეხედვითვე ტყვედ თავის ნებით შესული უფრო კარგს მდგომარეობაში უნდა იყოს, ვიდრე ნასყიდი და ნაბოძები. ეს აშკარად გამოჩნდება, როცა იმათ პიროვნულსა და ქონებრივს უფლებას გადავავლებთ თვალს.

ვალ-გადაუწყვეტელი ყმად დარჩენილი (неполный холопъ). ვალის ამღები, რომელმაც ველარ გადასწყვიტა თავის ვალი, ეძლევა ვალის მიმცემს ყმად. ყაზარაშვილი რჩება ალექსანდრიშვილის ყმად იმიტომ, რომ ვერ დაუბრუნა ვალი[36]). როცა ვალს იღებდა, გლეხი თავის თავს გირაოდ აძლევდა (закладывался რუსეთში), ვიდრე ვალს გადასწყვეტდა[37]). რაკი ვალი ვერ დაუბრუნა, იგი დროებითის ყმობიდან (nexus) ხდება სრული ყმა ბატონისა, როგორც დანარჩენნი ყმანი, ნასყიდნი, ანუ ნაბოძებნი, სამუდამოდ[38]) („на вѣчныя времена“), ერთი პირობა-კი უნდა დაეცვა ბატონს, როცა შეუძლებელი ვალის ამღები ყმად მიჰყავდა. ვახტანგ მეფე, რომელმაც ეს ჩვეულება კანონით განამტკიცა, ამბობს: „ესეც იქმნების მოვალეს, რომ კაცი ვერ აუვიდეს, საქონელი არ ქონდეს, კაცი მიეცემის იმ საქმით, რომ ურჯულოზედ არ გაყიდოს“[39]). რამდენად ასრულებდნენ ბატონები ამ პირობას, სიგელებიდამ სჩანს: ეს კარგად ვიცით, რომ ყმის გასყიდვის წინააღმდეგ ეკკლესია მუდამ იბრძოდა[40]).

გლეხი ვგონებ უფრო რთული, ზოგადი სახელია, ვიდრე კერძო, განსხვავებითი. მაინც მოვიყვან აზრს ბ-ნი დ. ფურცელაძისას, რომელიც ამბობს, რომ დასავლეთს საქართველოში გლეხს ედო ვალად თვეში ოთხი დღე ემუშავნა ბატონისთვის და ეხადნა ყველა გარდასახადი, რაიცა მოხსენებული იყო ნაბოძების სიგელში[41]). სჩანს გლეხი და ჩვენი „ნაბოძები“ ერთი და იგივე იყო ამ შემთხვევაში. მე-XVIII საუკ. დამლევს ვხედავთ გლეხთ-მოყალნეს[42]) (оброчники).

ა. ხახანაშვილი

(შემდეგი იქნება)

---

[28] ალბულას კანონები, § 72.

[29] ვახტანგის კანონები, § 229.

[30] ბერძენთა კანონებს დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთზედაც. ჩვენში საბერძნეთიდამ გავრცელდა პრინციპები რომაელთა უფლებისა.

[31] Крестьян. гр., стр. 9, 15.

[32] Крестья. гр., стр. 30.

[33] „должны поступить со мною законно и справедливо, не употреблять надо мною насилія и не дѣлать мнѣ неправды“. Кресть. гр., 49.

[34] „Для добровольцевъ крестьянъ“. Кр. гр., 54. Служитьян, какъ служатъ добровольные крестьяне. Кр. гр., 59, 60.

[35] Церк. гудж., გვ. 19, 153; Кр. гр. აქტი 1795 წ.

[36] Кресть. гр., 36.

[37] Двор. гр., 43, აქტი 1720 წ. ნახე კიდევ Дв. гр., 39.

[38] Кр. гр., გვ. 126. გვინცაძემ მისცა ვალში ქუთათელაძეს თავისი ძმა მოსამსახურედ. თუ 3 წლის განმავლობაში არ გადაიხდის ვალს, ძმა მისი რჩებოდა სამუდამო ყმად.

[39] ვახტანგის კან., § 142.

[40] Церк. гудж. 153, 151, 23 და სხ.

[41] Кр. гр., 10 I. შენიშვნა დ. ფურცელაძისა. გლეხი იგივე რთული ტერმი—ყმა უნდა ყოფილიყოს „ბატონ-ყმობის რიგით მიცემული“ — на основаніяхъ помѣщичьихъ крестьянъ, Кр. гр. გვ. 27.

[42] Кр. гр., 70.

ტონში გამწესებულს, გაზეთშივე გამოუცხადებია, რომ დიდი უზრდელობაა ადგილობრივ ჟურნალისტთა მიერ მაგისთანა ცრუ ამბების ბეჭდვაო და, ამას გარდა, თავისის ხელმწიფისათვის თხოვნა მიურთმევია, რომ აქედგან გადამიყვანეთ და სხვაგან გამამწესეთ სადმეო.

— სპარსეთის შაჰს ყველაფერზედ უფრო ინგლისში ედისონის ფონოგრაფი მოსწონებია. პირველში ურწმუნოდ ეკიდებოდა თურმე ამ ახირებულს იარაღს და განგებ ერთს თავისს მახლობელთაგანს უბრძანა კიდეც, რომ აბა პოეტის გაფიზის რამდენიმე ლექსი წაიკითხე, ვნახოთ გაიმეორებს, თუ არაო. ფონოგრაფს უნაკლულოდ გაუმეორებია და შაჰი ისეთს აღტაცებაში მოსულა, რომ ფონოგრაფის ყიდვა მოუსურვებია. იმისი სურვილი დაუყოვნებლივ იქნება თურმე აღსრულებული და სპარსეთში, არამც თუ მარტო ფონოგრაფს, იმ კაცსაც გაგზავნიან, რომელსაც ფონოგრაფი უწვენებია. შაჰი სხვათა შორის დოღზედაცა ყოფილა, სანაძლეოდ ერთი ცხენი ამოურჩევია და ათი თუმანი მოუგია. ეს ათი თუმანი შაჰს თავისის მხლებელ პატარა ბიჭისთვის უჩუქებია. ბიჭს ინგლისის ფულისა არა სცოდნია-რა და ამიტომ დაუხევ-დაუფხრეწია. ეს ნახევები მაინც შეუგროვებიათ, ინგლისის ბანკში გაუგზავნიათ და ბანკს შაჰისთვის ახალი ათ-თუმნიანი დაუბრუნებია. ნახევი და ერთმანეთზე მიკრული ბილეთი-კი შეუნახავთ, როგორც „საისტორიო საბუთი“.

— გერმანელები თურმე იმდენსავე ხარჯავენ სამხედრო ძლიერებისათვის, რამდენსაც სიმთვრალისათვის. „Börsen-Courier“-ი ამბობს, რომ გერმანიას სამხედრო საჭიროებაზედ ყოველ წლივ ეხარჯება 430 მილიონი მარკა და ამავე დროს სასმელეულობაზე იხარჯება 406 მილიონი მარკაო. ამ რიცხვებიდგანა სჩანს, რომ გერმანიაში სამხედრო ძლიერების განვითარება სიმთვრალის განვითარებას მხოლოდ რამდენისამე პროცენტით აღემატება.

— 15 მაისიდგან 2 მკათათვემდე ეიფელის კოშკის ნახვის მსურველთაგან შემოსულა სულ 519,577 მანეთი და 60 კაპ.

— ნიუ-იორკის გაზეთები შემდეგის ახირებულის შურის-ძიების ამბავს გვაუწყებენ. ვაჭარს მილტანს ძალიან სძულდა თურმე თავისი ცოლი და ერთად-ერთი ვაჟიშვილი. როცა სიკვდილის პირად იყო ეს კაცი, მოიკრიბა თურმე ძალღონე, მიცოცდა ზანდუკამდე, რომელშიაც იმისი ფული ინახებოდა 800,000 მანეთამდე, ამოიღო ეს ფული, ბუხარი აანთო და დასწვა. როცა ფული ფერფლად გადაქცეულა, მილტონი დაწოლილა და სული განუტევებია.

◆◆

დეპეშა

12 მკათათვე

ბერლინი. კენისბერგის გაზეთები იუწყებიან, რომ პირველის არმიის კორპუსის უფროსმა, გენერალ ბრონსარ ფონ-შელენდორფმა, ნადიმზე სხვათა შორის სთქვა: როცა პროვინციაში მოვგზაურობდი, დავრწმუნდი, რომ ომისა ძალიან ეშინიანთო. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს შიში უსაფუძვლოა და ომი მოსალოდნელი არ არისო. გენერალმა სთქვა აგრეთვე, რომ სასურველია ჩემმა სიტყვამ დაამშვიდოს ყველანი და ყველგან გავრცელებულ იქმნასო.

13 მკათათვე

პეტერბურგი. დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე როგორც იყო, ისე არის. ტემპერატურა და მაჯა კარგი აქვს; დამბლით რომ ფეხი ჰქონდა დაჭერილი, თანდათან, თუმცა ნელ-ნელა, ამოძრავებს; ღამე კარგად გაატარა, მადაც მეტი აქვს. თავსაც უფრო ღონივრად გრძნობს.

ვენა. აქაურს წრეებში არა იციან რა იმის შესახებ, რომ ბოლგარიის მმართველთ განზრახვა აქვთ ავსტრიის ოფიცრები მიიწვიონ ჯარების ინსტრუქტორებად.

ბელგრადი. დღეს აქ ჩამოვიდა მილანი. საზღვარზე მიეგებნენ ველიკომარკოვიჩი და გრუიჩი; ვოგზალზე მიეგებნენ მეფე ალექსანდრე, მიტროპოლიტი მიხეილი, რეგენტი პროტიჩი, მინისტრები და ელჩნი ოსმალეთისა, რუმინიისა და გერმანიისა. მილანმა მადლობა გამოუცხადა მიტროპოლიტს, რომ მეფის მამას მიეგება; ეს, სთქვა მილანმა, იმის საბუთია, რომ მიტროპოლიტი ობრენოვიჩების გვარეულობისა და მეფის ერთგულიაო. რაც ჩვენს შორის მოჰხდა, აქ სალაპარაკო არ არისო, ხოლო არ შემიძლია მადლობით არ მოვიხსენიო სერბიის ეკკლესიის წინამძღვარიო. მილანმა მადლობა გამოუცხადა აგრეთვე რეგენტებს და მინისტრებს.

ვენა. გამოცხადებულია სხვა-და-სხვა ცვლილება, რომელიც უნდა შემოიღონ ჯარების განაწილებაში. ყველა განკარგულება, რაც წელს გამოსცეს ჯარების მობილიზაციის შესახებ, იგივე რჩება.

პეტერბურგის ბირჟა, 11 მკათათვე.

	მყიდველ-ნი.	გამყიდვე-ლნი.	გაყიდუ-ლნი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	— „	7 76
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	151
მანათიანი ვერცხლის ფული . . .	— „	— „	1 13
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	263
—მეორისა	— „	— „	435½
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მკათათვიდამ 16 მკათათვემდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. .	3½	„
„ 2 „	3	„
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	„
„ „ 2—	4	„
„ „ 3 „	3½	„
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა . .	5	„
მე-2 ხარისხისა . .	4	„
მე-3 — . . .		„
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8	„
„ 2 „	7	„
სუკი	14	„
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	9	„
ღორის ხორცი . . .	„	„
„ 2 „	„	„

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

უმორჩილესად ვაცხადებ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობლად, რომ მომავალ სამოსწავლო წლისათვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის ვაკანსია მხოლოდ: მოსამზადებელ კლასის პირველს განყოფილებაში 36, მეორეში — 2, პროგიმნაზიის მესამე კლასში—11 და მეოთხეში—10. თხოვნა და მასთან ერთად ნათლობის და გვაროვნობის მოწმობები მოსწავლეთა მშობლებმა ან მზრუნველებმა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 20 მარიამობისთვიდგან 25-მდე. გამოცდა მოსწავლეთა დაიწყება 25 მარიამობისთვისას.

(2—1)

იყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან	კაპ.
ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა»	„	10
თამარიანი, რაფიელ ერისთავისა	„	60
თორნიკე ერისთავი . . .	1	
საყმაწვილო ამბები . . .	„	40
ნინო ორბელიანის ლექსები	„	40
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა.	„	80
სურამის ციხე	„	20

ქერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ხეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრძად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილის ქუჩა, ბექნანოვის სახლი, № 103.

(10—10)

მის. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი —30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108

(50—9)

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОС.
ЗА УСЕРДІЕ

СЕРЕБРЯНАЯ

А. А.

Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОС.
ЗА УСЕРДІЕ

ЗОЛОТАЯ

ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—47) ა. თუთაევი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით . . .	10 მ.—კ.	6 თთვით . . .	6 მ.—კ
11 „ . . .	9 „ 50 „	5 „	5 „ 25 „
10 „ . . .	8 „ 75 „	4 „	4 „ 75 „
9 „ . . .	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „ . . .	7 „ 25 „	2 „	2 „ 50 „
7 „ . . .	6 „ 50 „	1 „	1 „ 75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

Доз. ценз Тифлисъ 13-го Іюля 1889 года სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე